პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 24 მარტი 1926 წ.

წლიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი ჯარისკაცი

62 (1057)

1 და 2 ქართულ მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ეგანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## „ხუთი წლის თავის ზეიმი.

21 მარტს, საქართველოს მშრომელმა ხალხმა, ამიერ-კავკასიის მშრომელებთან ერთად, იზეიმა ქართული წითელი არმიის არსებობის და ბრძოლის, ხუთი წლის თავი.

მაგრამ ეს ზეიმი მარტო ამიერ-კავკასიის და საქართველოს მაშტაბით არ იყო შემოფარგლული, არამედ ზეიმი საკავშირო მშრომელებთან ერთად იქმნა გადახდილი. ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავის ზეიმმა, რომ საკავშირო დღესასწაულის ხასიათი მიიღო, ეს თავისთავად გასაგებ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ქართული წითელ არმიის მუშაობა და მოღვაწეობა არსებითად არა მარტო საქართველოს მაშტაბით არის საყურადღებო, არამედ მას აქვს აგრეთვე მნიშვნელობა მთელი ჩვენი რესპუბლიკათა კავშირის მაშტაბითაც.

თუ გნებავთ ისეთი მილოცვები, რომელიც კი მოუვიდა ამ ზეიმის დროს, ჩვენ წითელ არმიას—კომინტერნის, გლეხინტერნის ალმასკომებიდან და აგრეთვე საკავშირო რევოლიუციონური საბჭოსაგან, იმის უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია, რომ ქართული წითელი არმიის არსებობას და მის მუშაობას საკავშირო მაშტაბით აქვს დიდი მნიშვნელობა.

ჩვენი წითელი არმიის ასეთი დიდი მნიშვნელობა საკავშირო მაშტაბით, თავისთავად იმის მაჩვენებელია, რომ იგი საბჭოთა ძალაუფლების მთლიანი სახის, ერთერთი დამცველთაგანია. რასაკვირველია ქართული წითელი ლაშქრის ასეთი მნიშვნელობა თავდები არის იმის, რომ ქართული წითელი არმია თავის უფროს ძმასთან—რუსეთის წითელ არმიასთან ერთად, შესძლებს მტკიცედ დაიცვას მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ამით უზრუნველყოს ბრწყინვალე მომავლის—კომუნიზმის დამყარება.

## პარტ-განათლების მდგომარეობა ქართულ ნაწილებში.

ქართულ ნაწილებს პარტიულ განათლების დარგში ამ ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობი მიღწევები აქვს. ყველა ლეგიონებში არსებობს I საფეხურის პარტ-სკოლა, კომკავშირის სკოლა და ზოგ-ლეგიონში მე-II საფეხურის პარტიული სკოლა. საერთოდ პარტ. და კომკავშირის მთლიანი შემადგენლობა თანდათან აქტიურები ხდებიან და კარგათ ეცნობიან ჩვენი პარტიის პოლიტიკას და მის მუშაობას წ/არმ. მასაში. უნდა ითქვას, რომ ბევრი კეთდება საერთო მასიურ მუშაობაში პარტ-კანდიდატ და კომკავშირის წევრებისაგან ჩვენს ნაწილებში, მაგრამ უფრო ნაკლები სისწრაფით მიდის საკუთარი დაწინაურება და მომზადება. ჩვენი პარტიული სკოლები ბევრს ვერ იძლევიან მსმენელებისათვის. მეცადინეობის დარგში მეგმიური მუშაობის დაწყება ჯერ—კიდევ არ არის მთელი ასი პროცენტით მიღწეული, მეცადინეობის ყველაზე უკეთეს მეთოდს ხელმძღვანელები კარგად ვერ იცნობენ.

საქმეს აფერხებს კიდევ ის მდგომარეობა, რომ საჭირო წიგნები არ მოიპოვება ქართულ ენაზე. პარტიული განათლებისათვის რუსულ ენაზე დიდძალი მასალაა, როგორც მეთოდიურ ისე იმ საკითხებზეც, რომელიც ესაჭიროება ყველა სკოლის მსმენელებს. ასეთ პირობებში ჩვენი ნაწილების პარტიული სკოლები ვერ მოიტანენ შესაფერის ნაყოფს.

ჩვენი პარტგანათლების მსმენელთა უმეტესობას რუსული ენა არ ესმის და, მაშასადამე არ შესწევთ ძალა თემის შესწავლისთვის გამოიყენონ რუსული მასალა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს მთავარი ყურადღება და დივიზიამ იკისროს ეს უდიდესი საქმე და ჩვენს ნაწილებს მიაწოდოს ქართულ ენაზე საკმაო შესაფერისი ლიტერატურა პროგრამასთან დაკავშირებით.

ამასთან კარგი იქნება რომ გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყობოდეს დივიზიის ფარგლებში სკოლების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მისცემს დირექტივას თვითეულ წევრს და გახდის თავის მუშაობაში მეტ პასუხისმგებელს. მეთოდიურ მუშაობის და ხელმძღვანელების აღზრდის მიზნით კარგი იქნება ყველა ნაწილებს დაეგზავნოს ქართულად გადათარგმნილი ის წიგნი, რომლითაც რუსულ ნაწილებში ხელმძღვანელობენ, და გაძლიერდეს სკოლის საბჭოს მუშაობა დივიზიის პარტ-საგანმანათლებლო მუშაობის ცოცხალ ხელმძღვანელობის ქვეშ.

ტ. მამალაძე.

# ახალი რადიო ამბები

## ჩინეთის ამბები.

### 1-ლი სახალხო არმია ძველ პოზიციებზე იხევს.

მოწინაამდეგის ძლიერ ძალებთან დიდი ბრძოლის შემდეგ პირველი სახალხო არმიის სარდლობამ გადასწყვიტა დაიხიოს ძველ პოზიციებზე, რათა შეინარჩუნოს არმიის ცოცხალი ძალა.

### პეკინის დემონსტრაციის დახვრეტის შესახებ.

#### მოითხოვენ მთავრობის გადადგომას.

მიუხედავად აკრძალვისა ჩინეთის გაზეთები მაინც განმარტავენ დემონსტრაციის დახვრეტას პეკინში და მთელ ბრალს თავს ახვევენ ჩინეთის მთავრობას.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მთავრობას არ უნდა მიემართა ასეთი ზომებისთვის, როცა მშვიდობიანი ხალხი მხოლოდ იმპერიალისტების უღლის წინააღმდეგ გამოვიდენ.

სახალხო არმია პროტესტს აცხადებს მთავრობის წინააღმდეგ და როგორც გაზეთები, ისე არმიაც მოითხოვს მთავრობის გადადგომას და აცხადებს: „ჩვენი არმია ხალხის მხარეზეა. ჩვენ უნდა მივემხროთ იმ პოზიციას, როგორიც უკავია ხალხს“.

#### მღელვარება იზრდება.

ერთ დიდ მიტინგზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ მთავრობის გადადგომას, მმართველ დუან—ცზი—ჩჟუისა და პრემიერ ჩია—ტე—იაოს სიკვდილით დასჯას.

რკინისგზელთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: „ხალხი ვალდებულია შური იძიოს ამ საზიზღარ ბოროტმოქმედებისთვის“.

ამ ნიადაგზე თანდთან იზრდება მღელვარება.

## სამხრეთ-სლავია ჭორებს ავრცელებს

უკანასკნელ ხანებში სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ჩაატარა მასიური დაპატიმრება. მთავრობის წრეებმა გაავრცელეს ხმები, რომ საბჭოთა კავშირის აგენტები და საელჩო მუშაობას აწარმოებს სამხრეთ-სლავიაში არსებული წესწყობილების დასამხობადო.

სსრკ-ს საგარეო საქმეთა კომისარმა ამის საწინააღმდეგოდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი არაფერ შუაშია და მისი საელჩო არ ერევა სამხრეთ-სლავიის შინაურ საქმეში და, რომ ასეთი ხმები ყოველგვარ საბუთს მოკლებულია.

## სრულიად გერმანიის წითელ ფრონტელთა კონფერენცია

21 მარტს გალეში (გერმანიაში) გაიხსნა სრულიად გერმანიის წითელ ფრონტელთა მესამე კონფერენცია.

როგორც გამგეობის ანგარიშიდან სჩანს ადგილობრივ ჯგუფების რაოდენობა 250-დან 500-ზე ავიდა.

საკავშირო კომპარტიის, კომინტერნისა და სსრკ-ს მუშათა სახელით ტელმანმა გადასცა ყრილობას მისალმება.

## საბჭოთა კავშირში

### სამხ. აკადემიის პროფესორ ზაინჩკოვსკის გარდაცვალება

22 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა სამხედრო აკადემიის პროფესორი ანდრია ზაინჩკოვსკი. განსვენებული ცნობილია თავისი სამხედრო-სამეცნიერო შრომებით.

ზაინჩკოვსკი 1918 წლის მაისში შევიდა წითელი არმიის რიგებში, სადაც თავისი ენერგიული და წრფელი შრომით დიდი სიყვარული დაიმსახურა. 1922 წლიდან ის აწარმოებდა სამხედრო აკადემიაში სამხედრო-სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას.

უკანასკნელ პერიოდში ის იყო პროფესორის თანამდებობაზე სამხედრო ისტორიაში.

რევსაბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა დაენიშნოს განსვენებულის ქვრივს პენსია.

## ამხ. ლუნაჩარსკის იუბილე.

21 მარტს, სამხატვრო მეცნიერების სახელმწიფო აკადემიამ იუბილე გადაუხადა ამხ. ლუნაჩარსკის მის ოცდა ათი წლის სალიტერატურო მოღვაწეობის გამო. საღამოს დაესწრენ ლიტერატორთა, მუსიკოსთა, მხატვართა და სხვათა წარმომადგენელნი. მისასალმებელ სიტყვებით გამოვიდენ აკადემიის პრეზიდენტი და სხ.

## რ. ლ. ახკომკავშირის ყრილობის დახურვა.

22 მარტს დაიხურა რ. ლენინურ ახკომკავშირის მე-7 საკავშირო ყრილობა. საბოლოო სხდომაზე მისალმებით გამოვიდა სამხედრო საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი ვოროშილოვი. ვოროშილოვის მისალმების შემდეგ მოსმენილ იქნა სტალინის წერილი, რომელშიაც ესალმება ყრილობას.

ყრილობის დახურვისას ჩაპლინმა განაცხადა: „მე-7 ყრილობა შევა კომკავშირის მოძრაობის ისტორიაში როგორც ყრილობა, რომელმაც დააყენა საკითხი ჩვენი კავშირის გადაქცევისა სოციალიზმის აღმშენებლობის სკოლად. კომკავშირის წარმატებით განვითარების თავდებია მასზე სწორი ხელმძღვანელობა პარტიის მხრივ“.

## აღმოსავლეთ ენების შესწავლა.

აღმოსავლეთ ენების ლენინგრადის ინსტიტუტი აგზავნის ენების შესასწავლად 15 სტუდენტს იაპონიაში, ჩინეთში, მონღოლეთში, სპარსეთში და ოსმალეთში.

## მეორე მომგებიან სესხის გათამაშება.

მეხუთე გათამაშება მეორე მომგებიან სესხისა ათი აპრილიდან გადატანილია 20 აპრილისთვის კიევში.

## სიცივეები ყირიმში.

ყირიმში საგრძნობლად აცივდა ხელახლად. თოვს და წვიმს.

## სუელსის დაბრუნება.

კისლოვოდსკიდან მოსკოვში დაბრუნდა ინგლისის პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი სუელსი.

## აჭარისტანში

### ხიდების ასაგებად.

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გადადო 20.000 მანეთი აჭარისტანის მაზრებში ახალი ხიდების ასაგებად.

საკრედიტო გეგმაში შეტანილია აგრეთვე 45.000 აჭარისტანში სატყეო საქმის გასავითარებლად.

### ახალი საჯრხი ქარხანა

აჭარისტანმა მიიღო უცხოეთიდან 10 ხერხის დაზგა, რომლითაც მოწყობილ იქნება ახალი საჯრხი ქარხანა ქობულეთის მაზრაში.

სამხედრო მომხმარებელი საზოგადოება

„ბ ო ე ც ი“-ს

გ ა მ გ ე ო ბ ა

ამით აცხადებს, რომ თანახმად საზოგადოების რწმუნებულთა მეოთხე კრების დადგენილებისა ა. წ. 20—24 თებერვლიდან, საზოგადოების წევრთა ხელახალი აღრიცხვის უკანასკნელ ვადად დანიშნულია ამა წლის 1-ლი აპრილი.

საზოგადოების წევრები, რომლებიც არ გატარდებიან აღრიცხვაზე და არ წარმოადგენენ თავიანთ პრეტენზიებს წევრობაზე აღნიშნულ ვადამდი, ჩაითვლებიან მექანიკურად გამორიცხულად საზოგადოების წევრთა შემადგენლობიდან.

გამგეობა.

# მისალმებანი

## რესპ. პოლიტსამმართველოსაგან.

5 წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გლეხებთან ხელიხელ ჩაკიდებული სდგანან საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე. განთავისუფლებული მენშევიკური დიქტატურისაგან საბჭოთა საქართველო მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად ძლიერდება და მტკიცდება. ერთიანი წითელი არმიის ქართული დივიზიების 5 წლის არსებობამ დაანახა მთელ ქვეყანას, რომ ყველა ეროვნებათა მუშებისა და გლეხების საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფს ხალხთა აღმშენებლობას, საფუძველს უყრის ახალ ცხოვრებასა და სოციალიზმის აღმშენებლობას. გულითადად ვულოცავ ქართული დივიზიების მეომრებს, მეთაურებს, კომისრებსა და პოლიტმომუშავეებს ხუთი წლის თავს, რომლებიც ერთიანი წითელი არმიის რიგებში წავლენ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ მთელი ქვეყნის მშრომელთა და სოციალიზმის საქმისთვის.

რესპ. პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე
ლანდა.

## ამხ. პეტროვსკისაგან.

### ქართ. მსროლელ დივიზიის უფროსს

მივიღე თქვენი მიწვევა ქართული დივიზიების დღესასწაულზე. ღრმა მადლობას გიძღვნით. მოსვლა არ შემიძლია. გადაეცით მხურვალე სალამი დივიზიების წითელ არმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმომუშავეებს და სურვილი, რათა განმტიცებულ იქნას ტურფა საქართველოს ძალები და მიღწეულ იქნას მუშებისა და გლეხების საუკეთესო კეთილმდგომარეობა. გადაეცით თქვენი ქვეყნის მშრომელებს უკრაინის მუშებისა და გლეხებისაგან სალამი; ჩვენ მზადა ვართ თავდადებით დავიცვათ და განვამტკიცოთ სოციალისტური რევოლიუციის მონაპოვარი.

უკრაინისა და საკავშირო ცაკის
თავმჯდომარე პეტროვსკი.

## ამხ. ენუქიძისაგან

### ქართულ 1-ლ მსრ. დივიზიის უფროსს

გმადლობ მისალმებისა და მიწვევისთვის. საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელი არმიის 5 წლის თავის დღესასწაულზე მოსვლა არ შემიძლია.

სამწუხაროდ მიმდინარე მუშაობა არ მაძლევს საშუალებას დავესწრო თქვენს დღესასწაულს.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სახელით გთხოვთ გადასცეთ მხურვალე სალამი საქართველოს სახელოვან წითელი არმიის მეომრებს და ღრმა რწმენა, რომ საქართველოს წითელი არმია, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა 1921 წელში იმპერიალისტური ბრჭყალებისაგან, გააგრძელებს ზრდასა და განმტკიცებას ამიერკავკასიის მშრომელებთან მჭიდრო კავშირში და გახდება კავშირის დიდი წითელი არმიის მტკიცე დასაყრდნობი.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშურგლეხურ წითელ-არმიას!

სსრკ-ს ცაკის მდივანი ენუქიძე.

## ამხ. ამბარცუმიანისაგან.

### დივიზიის უფროს ამხ. ქუთათელაძეს.

უკიდურესად ვწუხვარ, რომ არა მაქვს საშუალება პირადად დავესწრო ქართულ დივიზიების 5 წლის თავის დღესასწაულს. მხურვალე სალამს უძღვნი საქართველოს მშრომელთა ერთგულ დამცველ—ქართულ დივიზიების წითელ არმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმომუშავეებს. მეექვსე წლის დასაწყისში ნება მომეცით ვუსურვო ქართულ დივიზიებს შემდეგი წარმატება სამხედრო და პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მიმართულია საბჭოთა ძალა-უფლების გამაგრებისა და განმტკიცებისაკენ.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ ჯარს!

სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე ამბარცუმიანი.

## აზერბეიჯანის სახკომსაბჭოსაგან.

აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მხურვალე სალამს უძღვნი ქართული დივიზიების წითელ არმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმომუშავეებს.

გაუმარჯოს ერთიანი წითელი არმიის ეროვნულ ნაწილების ძმურ კავშირს!

აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე მუსაბეკოვი.

# სამხედრო საქმე

## ცეცხლი—მისი გავლენა და მნიშვნელობა ბრძოლის წარმოებაში.

ბრძოლის დამთავრება ხდება მტერზე პირდაპირ შემოკვრით, ხოლო ამ უკანასკნელის გასაადვილებლად ჩვენ ვებრძვით მტერს შორი მანძილიდან, რათა შევასუსტოთ მისი რიგები. ამ მიზნისთვის ჩვენ გვაქვს ცეცხლი, რის საშუალებითაც ვაწარმოებთ მანძილზე ბრძოლას.

პირველ საფეხურზე მყოფი ადამიანი ამ მიზნისათვის ხმარობდა ქვას, რომელსაც დიდი შედეგი არ მოჰქონდა მტრის რიგების შეთხელებაში. ვითარდება საზოგადოების ცხოვრება,—ვითარდება მისი ტეხნიკაც. ამ განვითარების მეორე საფეხურზე, მანძილზე ბრძოლის საშუალებად ადამიანის ხელში ჩვენ ვხედავთ უკვე მშვილდ-ისარს. ამ უკანასკნელს მტრის შესუსტების ამოცანაში მეტი შედეგი მოაქვს ვიდრე ეს ქვას. მაგრამ ადამიანმა მოიფიქრა მშვილდ-ისარის საწინააღმდეგოდ ფარი, რომლის საშუალებით მებრძოლი იფარავს თავს მტრის ისრიდან.

ამ ორ საშუალებას (ქვას და ისარს), მანძილზე ბრძოლისას, სცვლის ცეცხლის საშუალება.

დაახლოებით მეთოთხმეტე საუკუნეში ადამიანმა აღმოაჩინა დენთი (თოფის წამალი), რომელსაც ის ხმარობს როგორც თოფის ლულიდან გულას გამომსროლი საშუალებას. მანძილზე ბრძოლამ ეხლა მიიღო მეტი მნიშვნელობა. ცეცხლის საშუალებით მანძილზე ბრძოლა იწყება უფრო შორს მანძილიდან, ვიდრე მშვილდ-ისრის დროს და მტერსაც, შედარებით ამ უკანასკნელზე, გაცილებით მეტს ზიანს აყენებს. ცეცხლით ბრძოლამ მოსთხოვა მოპირდაპირეთ მეტი მოხერხებულად მიუახლოვდენ ერთი-მეორეს; აიძულა მებრძოლი სრულად გამოიყენოს ადგილმდებარეობა, რათა შეინარჩუნოს შემოკვრისათვის მეტი ძალა.

ამით გაფართოვდა თვით ომში მოქმედების საზომი, ხოლო არსებითად ბრძოლის შინაარსი კი უცვლელი დარჩა, ე. ი. ბრძოლა მაინც წყდება მოპირდაპირეების პირის-პირ შეხვედრით და მათი ხარისხოვნებით.

შემდეგში ყოველ წლობით ვითარდება ცეცხლით სასროლი იარაღები, ამის და მიხედვით ვითარდება და იცვლება ბრძოლის წარმოებაც,—იცვლება საბრძოლო წყობილება და სხვა.

მოპირდაპირენი თანდათან მეტს მანძილზე შორდებიან ერთიმეორეს,—ბრძოლა იწყება ჯერ კიდევ იქედან, როდესაც მოპირდაპირენი ერთი-მეორეს ვერც კი ხედვენ უბრალო თვალით. მებრძოლს, სანამ ის მტერზე პირდაპირ მივიდოდეს, დასჭირდა ბევრი რიგი ცეცხლის ტალღების გავლა.

მოპირდაპირენი ბრძოლის ველზე ცდილობენ, რათა გადამწყვეტ დროს დარჩნენ ერთიმეორეზე ძლიერნი, როგორც ცოცხალი ძალებით, აგრეთვე ტეხნიკით ანუ ცეცხლით. ამისათვის ისინი ცდილობენ წინასწარ ისე გამოთოფონ, ცეცხლის საშუალებებით, მოწინააღმდეგე, რომ შემოკვრის დროს ეს უკანასკნელი იყოს მასზე სუსტი.

მანძილზე ბრძოლამ იმდენი მნიშვნელობა მიიღო ჩვენს დროში, რომ მის ხელში გადავიდა რამოდენიმე ნაწილი პირდაპირ შემოკვრის ბრძოლის წარმოების ილეთებისა. მებრძოლი ადამიანი კი წარმოადგენს ცეცხლის ძალას. მებრძოლი უთოფოდ ჩვენს დროში წარმოუდგენელია, ისევე არ ვარგა ის უთოფოდ, როგორც თვით თოფი უიმისოდ (უმებრძოლოდ). თოფი და მებრძოლი წარმოადგენ შესისხორცებულ ბრძოლის საშუალებას, ვინაიდან გადამწყვეტ შემოკვრისათვის ცოცხალი ძალა და ცეცხლი შეერთებული ძალაა.

ამრიგად ეხლანდელ ბრძოლებში პირდაპირი შემოკვრა მდგომარეობს ცეცხლით შემოკვრაში; ქვეითა ჯარეგის მოქმედება კი ეხლა იქცა ცეცხლის მოქმედებათ.

ეს დებულება ისე არ წარმოვიდგინოთ ჩვენ, რომ რადგანაც ცეცხლით ბრძოლაა, ცოცხალი ძალა არ არის საჭიროვო. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ცოცხალი ძალის ტეხნიკის მიმატებით, ბრძოლა ღებულობს ცეცხლითი ხასიათს და ჩვენც ერთი სიტყვით უწოდეთ მას ცეცხლით ბრძოლა.

კარგი იარაღი ცუდი მებრძოლის ხელში სრულებით არაფერი არ ღირს, ხოლო კარგი მებრძოლი კი ცუდი იარაღითაც საგრძნობ ძალას წარმოადგენს.

ტეხნიკას არასოდეს არ შეუძლია გამოსცვალოს ცოცხალი ძალა, ხოლო მისი განვითარებით ცეცხლის ნაყოფი ბრძოლაში თანდათან მეტია. რამდენად ტეხნიკის ქონა აუცილებელია ბრძოლისათვის, იმდენად და გაცილებით მეტად უფრო საჭიროა კარგ ხარისხის ცეცხლის ძალის ყოლაც. უცვლელი თანამხლებელი მებრძოლისა—მუდმივი და ძირითადი მისი იარაღია სამხაზიანი შაშხანა თოფი. სამხაზიან შაშხანა თოფში შეერთებულია ცეცხლი და ხიშტი. შემდეგ ტყვიამფრქვევები როგორც მჩატე, ისე მძიმეები და სხვა მანძილზე სასროლი საშუალებათა იარაღები ემატება ცოცხალი ძალას, არიან როგორც მისი ცეცხლის საშუალებანი აგრეთვე მტერზე გამარჯვების საშუალებანიც.

ხელით სასროლი ყუმბარა, რომელიც იგივე ცოცხალი ძალების შეიარაღებაზე არის, წარმოადგენს თუ შეიძლება ასე დავარქვათ „ცეცხლის ხიშტი".

ამრიგად ქვეითა ჯარის მოქმედებაში მძიმე ტყვიამფრქვევის ცეცხლი გადადის ხელით სასროლი ყუმბარისაზე ე. ი. დღევანდელი მებრძოლი შორი მანძილიდან პირის პირ მტერზე უკვე შეტაკებამდის მოქმედობს ცეცხლით. ბევრი სხვა და სხვა გვარი ცეცხლის საშუალებანი იმყოფება დღეს ცოცხალი ძალების კრებულში ანუ ქვეითა ნაწილების საერთო ორგანიზაციაში გარდა იმ ცეცხლის საშუალებანისა, რომელნიც მინიჭებული აქვს ქვეითა ნაწილებს, მოპირდაპირენი ცდილობენ ერთი მეორეზე იქონიონ გავლენა სულ დიდი შორის მანძილიდან, იმ მანძილიდან ბრძოლის ველიდან, სადაც ჯერ კიდევ ქვეითა ნაწილები არც კი გამოჩენილან. მასთან იმ მოსაზრებით, რომ რაც შეიძლება შორიდან დამალოს მტრის ბრძოლის ველზე სვლის წესრიგი, ქმნას ის მუდამ მისი ცეცხლის გავლენაში, რაც დაქანცავს მტერს, ამ მიზნით იხმარება ისეთი ცეცხლის საშუალება, რომელიც ყველა ზემო ჩამოთვლილ საშუალებათა მეტს შორს ისვრის ცეცხლს.

(შემდეგი იქნება)

დ. მელაძე.

## სოციალისტურ აღმშენებლობის განმტკიცების გზები სოფლად.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, ბაზრების ურთიერთობის ნიადაგზე იზრდებიან კაპიტალისტური ელემენტებიც.

წესიერი ვაჭრობის დაყენებაში, სასოფლო-სამეურნეო საქონლის ხელსაყრელად გასაღებაში და ქალაქის საქონლის ხელსაყრელ პირობებში შეძენაში, პირველ ყოვლისა, დაინტერესებულია საშუალო შეძლების გლეხობა, რომელიც ჩვენი მიწადმოქმედების „ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს!"

ჩვენი საშუალო შეძლების გლეხობა, როგორც სამეურნეო ელემენტი, დიდ უმეტესობას შეადგენს. ამიტომაც საშუალო შეძლების გლეხი ყველაზე უფრო დაინტერესებული წესიერ ვაჭრობასა და საქონლის ტრიალში. ხოლო ვაჭრობის თავისუფლება იმ დროს, როცა არსებობს კერძო მეურნეობა, წარმოშობს კაპიტალიზმს.

საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა გააძლიეროს მეურნეობის სოციალისტური სახეები, შეავიწროოს კერძო სამეურნეო და სავაჭრო კაპიტალიზმი და ჩაითრიოს სოციალისტურ აღმშენებლობის საერთო კალაპოტში გლეხების სულ მეტი და მეტი რაოდენობა.

მთელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს ისე, რომ თანდათან მტკიცდებოდეს პროლეტარიატის კავშირი საშუალო შეძლებულ და ღარიბ გლეხობასთან სამეურნეო თანამშრომლობის საფუძველზე.

ამისთვის საჭიროა სწორი შეთანხმება სასოფლო მეურნეობასა და სახელმწიფო მრეწველობას შორის, საჭიროა გაძლიერებული ეკონომიური ხელმძღვანელობა სახელმწიფო მრეწველობის, სახელმწიფო კრედიტისა და კოოპერაციის მხრივ.

კოოპერაცია აკავშირებს გლეხობას გასაღების, მომარაგებისა და წარმოების ნიადაგზე, სახელმწიფო კრედიტი ხელს უწყობს სახელმწიფო ვაჭრობის, კოოპერაციისა და გლეხის მეურნეობის ზრდას.

კოოპერაციის განვითარება დევნის კერძო კაპიტალს როგორც ვაჭრობაში, ისე წარმოებაშიც.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ტრიალი ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 57 პროცენტით. იმავ დროს კერძო ვაჭრობის ტრიალი შეიკვეცა შედარებით და ძირეულად 25 პროცენტით.

იზრდება აგრეთვე ყოველწლიურად სახელმწიფო კრედიტიც. 1923—24 წელში მიეცა სახალხო მეურნეობას სესხის სახით 956 მილიონი მანეთი; 1924—25 წელში—1.997 მ. მანეთი. სასოფლო მეურნეობას სესხათ მიეცა სულ 1924—25 წელში 125 მილიონ მანეთამდი; 1925—26 წლისათვის გათვალისწინებულია 182 მილ. მანეთამდის სესხის მიცემა.

უკანასკნელი წლინახევრის განმავლობაში სახელმწიფო მრეწველობა განსაკუთრებით ჩქარი ნაბიჯით ვითარდება.

შრომის ნაყოფიერების ციფრები აშკარად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენს მეურნეობაში სოციალისტური ელემენტები განუწყვეტლივ იზრდება. ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი ძლიერდება საქონლის ტრიალის, კოოპერაციის საშუალებით.

სახელმწიფო კრედიტი სასოფლო მეურნეობისთვის მიდის მომეტებულად კოოპერაციის საშუალებით. კოოპერაციის გზითვე მიდის უმთავრესად სამრეწველო საქონელიც.

ამ რიგად სახელმწიფო მრეწველობის, სახელმწიფო კრედიტისა და კოოპერაციის საშუალებით პროლეტარიატი საქმით ახორციელებს დაახლოებას გლეხობასთან, თანდათანობით დევნის კერძო კაპიტალს და თანდათან იზიდავს გლეხობას სოციალისტურ აღმშენებლობის კალაპოტში.

ლ. ფ.

# ქართ. ლაშქრის ხუთი წლის თავის ზეიმი ჩვენს ნაწილებში.

### ცხენოსანი ლეგიონი.

ლეგიონი მომზადებული შეხვდა 21 მარტის დიად დღესასწაულს.

დილით ადრე შეუდგენ წითელ არმიელები ცხენების დაუფთავებას. გულმოდგინეთ აპრიალებდენ შუბებს, ხმლებს და თოფებს. გამოვიდა ლეგიონის ორკესტრი თეთრი ცხენებით...

მოულოდნელად გაისმა ბრძანება... ორკესტრმა დააგუგუნა მგზავრული. ათამაშდენ ცხენები და მწყობრად გაუდექით გზას სამხედრო მეთაურთა სკოლისაკენ. იქ იყრიდენ თავს ყველა ქართული ნაწილები, სადაც მოგვილოცეს ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავი. საიდანაც გამოვეშურეთ ყველა ნაწილები მწყობრად სასახლისაკენ. აქ დაგვხდენ ჩვენი ცხოვანი ბელადები, რომელთაც მხურვალედ მოგვილოცეს დღესასწაული.

აქედან კი გამოვეშურეთ პირდაპირ ლეგიონისაკენ, სადაც გაიმართა გაერთიანებული საზეიმო სადილი. მიწვეული გვყავდენ აგრეთვე რუსული ნაწილების წითელ არმიელები.

სრულ პირველ საათზე ლეგიონს ეწვიენ ს. ორჯონიკიძე, შ. ელიავა და სხვა.

ამხ. ორჯონიკიძემ მოგვილოცა დღესასწაული და მოგვიწოდა მტკიცედ ვიდგეთ სადარაჯოზე მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად. ამხ. ელიავა მოგვესალმა სახალხო კომისართა და არმიის შტაბის სახელით.

მთელმა ლეგიონმა თავისი სამხკომისა და ლეგთავის სახით ერთხელ კიდევ დასდვეს ფიცი, რომ ძირს არ დახრიან ოქტომბრის რევოლიუციის დროშას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ძვირფასი სტუმრები ტაშის ცემითა და ოვაციებით გამოაცილეს ლეგიონის წითელ არმიელებმა.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

### მე-2 დივ. საკავშირო ასეული.

სადღესასწაულოდ არაჩვეულებრივად იქნა მორთული ასეულის ყაზარმები. სადღეისო ლოზუნგები, პლაკატები და სხვა მრავლად ამშვენებდა ასეულის კლუბის, ლენინის კუთხეს და ყაზარმებს. გამოშვებული იქნა სადღესასწაულო კედლის გაზეთი.

დილით ჩვენი ასეულის შემადგენლობამაც მიიღო მონაწილეობა ქართული ჯარების აღლუმსა და საზეიმო გავლაში.

ასეულში გვეწვიენ ამხ. ამხ. ყამარაული, მიწად-მოქმედების კომისრის მოადგილე ძმანაშვილი და სხვები. გაიმართა მიტინგი მესანგრე ასეულთან ერთად, რომელსაც დაესწრო რუსული ნაწილის წითელ არმიელებიც. მიტინგის შემდეგ გაიმართა საზეიმო სადილი, რომელზედაც მიპატიჟებული იქნენ სტუმრებიც.

წ. არმ. მათიაშვილი.

## ორნაირი ზეიმობა ჩვენთან.

1-ლი ქართ. ლეგიონი.

21 მარტს ლეგიონი დილიდანვე გავიდა აღლუმში მონაწილეობის მისაღებად. იშვიათი მხიარულებით შეხვდენ დღესასწაულს ყველა წითელ არმიელები. ეს აშკარად სჩანდა მწყობრში სიარულის დროსაც. ორმაგი საზეიმო დღე—ქართული ლაშქრის ხუთი წლის თავი და საკუთრად, პირველი ლეგიონის არსებობის ხუთი წლის თავი მართლაც რომ ზეიმით ჩავატარეთ. აღლუმიდან დაბრუნების შემდეგ ლეგიონის ეზოში მოეწყო ჯილდოების დარიგება შეჯიბრებში გამარჯვებულ წითელ არმიელებზე. გვეწვიენ ტყავ-ტრესტის მუშები და საქართველოს ცენტრალური კომიტეტი. გაიმართა მიტინგი, რომელზედაც დაწვრილებით გააშუქა ლეგიონის სამხკომმა ნაწილის ისტორია, მისი მიღწევები და სხვა.

შემდეგ მისალმებით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა ქართ. წითელი ჯარის მოვალეობა და მიულოცა ნაწილს ხუთი წლის არსებობის თავი.

ტყავ-ტრესტის მუშებმა გადასცეს ლეგიონს დროშა.

ლეგთავმა ერთხელ კიდევ დასდო ფიცი მთელი ნაწილის სახელით მუშების წინაშე, რომ ამ დროშას ძირს არ დახრიან სანამ ერთი მეომარი იქნება ცოცხალი ლეგიონში.

შემდეგ გაიმართა საზეიმო სადილი, რომელზედაც ერთნაირ მონაწილეობას ღებულობდენ ლეგიონის უფროსი შემადგენლობა და წითელ არმიელები. სადილზე სტუმრებიც იქნენ მიპატიჟებული. მათთან ერთად ერთხელ კიდევ დავდევით ფიცი, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მუშურ-გლეხური ქვეყნის დასაცავად.

სამხკორი ნ. კეკელიძე.

### 1-ლი დივ. მე-3 ლეგიონი.

საბჭოში გასაგზავნ დელეგატების არჩევნები ჩვენს ლეგიონში მოხდა 18 მარტს. დივიზიის აგიტპროპმა დაწვრილებით გაგვაცნო არჩევნების წესი და საბჭოში გაგზავნილ დელეგატების მოვალეობანი, ვის შეუძლია იყოს არჩეული საბჭოში და სხვა.

წამოყენებული იქნა კანდიდატების სია, რომელთაგან წევრებად არჩეული იქნენ 12 და 5 კანდიდატი. ამხანაგებს გადაეცათ კრებისაგან ნაკაზი.

სამხკორი ი. გოგიტიშვილი.

## პირველი ჯილდო ჩვენ გვერგო.

1-ლ არტლ. მე-4-ხე საგაუბიცო ბატარეია.

ქართულ ლაშქრის არსებობის 5-თი წლის თავის სამზადისმა მანქანასავით აამოქმედა ჩვენი ლეგიონი. წინასწარ იქნა გამოცხადებული კონკურსი საუკეთესოდ მომზადებულ და მოწყობილ ბატარეიისათვის.

პრიზები დანიშნული იყო ყოველ დარგში: ბატარეიის სისუფთავეზე და წესიერად მოწყობაზე, ლენკუთხის მუშაობაზე და მოწყობაზე, პოლიტ ცოდნაში, ხმა მაღალ კითხვაზე, კედლის გაზეთებზე, სამხკორებზე და სხვა დანარჩენ წრეებზე. ამ გარემოებამ გამოაცოცხლა ბატარეიები. თვითეული მათგანი შეუდგა კოლექტიურათ მუშაობას. ბატარეიები ჩაკეტენ. ერთმანეთს არ აცნობდენ თუ რას აკეთებდენ და როგორ ემზადებოდენ კონკურსისათვის. განსხვავდებოდა მე-4 საგაუბიცო ბატარეია, რომელიც ყველას აჩვენებდა თავის საქმიანობას. ჩვენ ისედაც მოწყობილი ვიყავით მუდამ და დღესასწაულებსაც ხალისიანათ ვხვდებოდით.

მოაწია კომისიის დათვალიერების დრომაც, რომელმაც შეამოწმა ყველა ბატარეების მუშაობა.

გამოცხადებული იქნა პრიზები ლენინის კუთხის მოწყობის, მის ჩამოყალიბებისა და ბირთვების მუშაობაში. პირველი პრიზი მიიღო ლეგიონში მე-4 საგაუბიცო ბატარეიამ.

წ/არმ. გ. ბარათაშვილი.

## საბჭოთა არჩევნები ჩვენს ნაწილებში.

მე-5 ლეგ. მე-2 ათასეული.

15 მარტს შესდგა ათასეულის შტაბისა და მასთან მდგარ ნაწილების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო მაზრკომის წარმომადგენელიც. გაკეთებული იქნა მოხსენება საბჭოთა არჩევნების შესახებ. დასასრულ მოხდა საბჭოში გასაგზავნი დელეგატების არჩევნები. არჩეული იქნა ორი ამხანაგი: დუმბაძე და კანდიდატათ კი ჩხაიძე.

ამხანაგებს კრებამ მისცა სათანადო ნაკაზი და დაავალა მათ იმოქმედონ მისი მიხედვით.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

### 1-ლი დივ. საკავშირო ასეული.

საბჭოში ასარჩევ დელეგატების გამოსაყოფად 17 მარტს მოწვეული იქნა ასეულის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება. პოლიტგანისა და ქალაქის საბჭოს საარჩევნო კომისიის რწმუნებულებმა დაწვრილებით გაგვაცნეს არჩევნების წესი და მნიშვნელობა. ასარჩევი იყო 2 დელეგატი.

წევრებათ გაყვანილ იქნენ საბჭოში ასეულის სამხკომი და მასწავლებელი. კანდიდატათ კი ერთი ახალწვეული წითელ არმიელი.

შემდეგ გაკეთებული იქნა მოხსენება აგრეთვე პარიზის კომუნის მნიშვნელობაზე.

სამხკორი ვ. კუნჭულია.

## ჩვენს სამხკორთა შორის
## მოხსენება სამხკორის პოლიტიკურად აღზრდის შესახებ.

1 ლი საკავშირო და მესანგრე ასეულები.

16 მარტს შესდგა ორივე ასეულების სამხკორთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენებები სამხკორთა მუშაობის და სამხკორთა პოლიტიკურად აღზრდის შესახებ. მოხსენების შემდეგ მოხდა საარმიო სამხკორთა კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

გაკეთებული იქნა აგრეთვე მოხსენება კედლის გაზეთის შესახებ. კერძოდ აღინიშნა ნაწილის კედლის გაზეთის რედკოლეგიის მუშაობის მიღწევები. გაზეთში წითელ არმიელების მონაწილეობის მიღების გარშემო იყო ზოგიერთი შეკითხვები. საერთოდ თათბირი დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. საარმიო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებს მიეცათ შესაფერი ნაკაზი.

სამხკორი ხომასურიძე.

## გვემატება ძალები სამხკორთა წრეში.

1-ლი დივ. 1-ლი ლეგიონი.

17 მარტს შესდგა ლეგიონის სამხკორთა წრის მეცადინეობა. ჯერ კიდევ პირველმა მეცადინეობამ ძლიერ კარგი ნაყოფი გამოიღო. ლეგიონის სამხკორები ამოქმედდენ და უხვად აწვდიდენ მასალებს, როგორც კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს, ისე გაზეთ „წითელ არმიელის" რედაქციის.

აღნიშნული მეცადინეობის დროს გასაშუქებელი იყო შემდეგი საკითხები: სამხკორთა პოლიტიკური აღზრდა და მათი მომზადება, ლეგიონის სამხკორთა ორგანიზატორის საანგარიშო მოხსენება, კედლის გაზეთების და ასეულის სამხკორთა წრის მუშაობა.

სამხკორთა ორგანიზატორმა მოუწოდა ამხანაგებს უფრო მეტი ენერგიულობით მოკიდონ ხელი მუშაობას.

დასასრულ არჩეული იქნა საარმიო სამხკორთა კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატები. უკანასკნელ ხანებში ჩვენი სამხკორთა წრე ძლიერ გამოცოცხლდა. რიცხობრივადაც მატულობს.

იმედია მოკლე ხანში გვეყოლება შესაფერ ნიადაგზე მდგარი სამხკორთა ორგანიზაცია.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## სამხკორთა წრე ამუშავდა.

1-ლი დივ. საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენს ნაწილში სამხკორთა წრე წინათ ვერ მუშაობდა როგორც ეხლა, წითელ არმიელები მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კედლის გაზეთის გამოშვებაში. ამ ჟამათ ლეგიონში გამოდის 6 კედლის გაზეთი, ყველა მასალებს გაზეთებს სამხკორთა წრე აწვდის და ხშირათ მასალები რჩება და გულიც კი სწყდებათ წითელ არმიელებს, რომ არ გადის წერილები.

ამას უნდა მიაქციოს ყურადღება რედკოლეგიამ და მიიღოს შესაფერი ზომები, თორემ გული უფუჭდებათ სამხკორებს.

სამხკორი არ—ძე.

## როგორ ვასამხე დროებთ მუშებს

სამხედრო კუთხის გახსნა ქ. ტფილისის 1-ლი წყალსადენის მუშების სახელოსნოში.

20 მარტს პოლიტსკოლამ დაასრულა აღნიშნულ სახელოსნოში სამხედრო კუთხის გასახსნელად წარმოებული მუშაობა, რომელიც სანიმუშოთ არის მორთული ყოველ მხრივ და ყოველგვარი საჭირო ნივთებით. კუთხეს უკავია ერთი ოთახი, სადაც მოთავსებულია ტიპიური სამკითხველო სპეციალურათ, სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურით, ჟურნალ-გაზეთებით, მნიშვნელოვანი პლაკატებით, დიაგრამებით და სხვა.

ყურადღებას იპყრობს კუთხეში სხვა და სხვა იარაღები და ნახაზები, სროლის და ჰაერის მსპობის განყოფილება. საუცხოვოთ არის მოწყობილი სასროლი ტირი, რომელიც გამართულია განსაკუთრებულ ადგილას.

20 მარტს ხსენებულ კლუბის დარბაზში შესდგა გაერთიანებული საზეიმო სხდომა კუთხის გახსნის გამო. დაესწრენ აუარება მუშები, კომკავშირლები, მოწაფეები, სხვა და სხვა ორგანიზაციებიდან წარმომადგენლები, მოქალაქეები და ქალები. საზეიმო სხდომაზე გაკეთებული იქნა მოხსენება საქართველოს წითელი არმიის 5 წლის თავის შესახებ. აღინიშნა სამხედრო კუთხის მიზანი, დანიშნულება და სხვა, მშრომელი მასის გასამხედროების საქმეში. მომხსენებელმა დასასრულ მოუწოდა ყველა მშრომელებს „გასამხედროებისაკენ", რომ მომავალ საშინელ ბრძოლებში ადვილათ შევს ძლოთ კაპიტალისტებისაგან მუშურ გლეხური ქვეყნის დაცვა.

შემდეგ კრებამ აირჩია კუთხის გამგეობა ორი კაცისაგან, რომლებსაც გაუწევს სათანადო ხელმძღვანელობას ჩვენი სკოლა.

კრების დახურვის შემდეგ ამხანაგებმა დაათვალიერეს ახლათ გახსნილი კუთხე, სადაც ყოველ საგანზე ღებულობდენ სათანადო ახსნა-განმარტებას საამისოთ დანიშნულ კურსანტებისაგან.

აგერ ამხანაგები სწავლობენ შაშხანა თოფს, რომელიც სრულიად დაშლილია და დაწყობილი ფიცარზე. სათანადო წარწერებით და ელექტრონის მავთულის საშუალებით შაშხანის ზემოაღნიშნული ნაწილები შეერთებულია საჭირო ადგილას და თუ სწორათ არ დაადვა ნამდვილ იმ ნაწილს საჩვენებელი, რომელიც ამოიკითხა ამხანაგმა—ისე ელექტრონის ლამფა არ გაანათებს. უკანასკნელმა ძალიან დააინტერესა მუშები.

ინახულეს ქიმიურ კუთხეც და მისი პლაკატები. ამის შესახებ საჭირო შეიქნა ვრცელი ლექცია, რადგანაც დაინტერესებული მუშები იძლეოდენ მეტათ საინტერესო შეკითხვებს.

აგერ სროლის განყოფილება, სადაც დაინტერესებულები ათვალიერებენ ხელის სამოსწავლო ყუმბარებს და სხვას.

ზოგი ათვალიერებს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, პლაკატებს, დიაგრამებს, სურათებს და განსაკუთრებით კი კითხულობენ გაზეთ „სამხედრო კუთხეს", სადაც [illegible]ალურათ არის გაშუქებული სამხედრო სამე ნიერო საზოგადოების და სამხედრო კუთხის მნიშვნელობა მშრომელ მასის გასამხედროების საქმეში. უცბათ გაისმა თოფის ხმა და ერთ წუთში ყველამ მოიყარა თავი ტირში, სადაც ცეცხლის ხაზზე მორიგე და საამისოთ დანიშნული ამხანაგები ხელმძღვანელობდენ სროლას.

სამხედრო კუთხის დათვალიერების შემდეგ ამხანაგებმა მოიყარეს თავი ისევ კლუბში, სადაც გაიმართა სამხედრო „ანკესი". ანკესში ქალებიც ღებულობდენ მონაწილეობას.

მუშები ძლიერ კმაყოფილი დარჩენ ასეთი ხასიათის მეცადინეობით და გვთხოვეს ხშირად მოვაწყოთ ასეთი.

ჯ. ქუთელია.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

### პარტსკოლის მეცადინეობა მოისუსტებს.

მე 6 ლეგიონი.

დიდი ხანი არ არის რაც ლეგიონში დაარსდა პარტსკოლა, მაგრამ სამწუხაროდ მხოლოდ დაარსდა და მეტი არაფერი. სკოლაში მეცადინეობა არ სწარმოებს. პარტიის წევრები და ახკომკავშირელები გულგრილად ეკიდებიან საქმეს.

ხშირად ხდება, რომ ხელმძღვანელი ნიშნავს დროს მეცადინეობისთვის და აცნობებს ამის შესახებ ამხანაგებს, მაგრამ დანიშნული დროისთვის არავინ ცხადდება.

დაუშვებელია ასეთი გულგრილობა ამხანაგების მხრივ, საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ამხანაგებში საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება. პარტსკოლაში გამოცოცხლებული უნდა იქნეს მეცადინეობა.

სამხკორი ნინუაკუთხელი.

### მუშაობა გამოცოცხლდა.

მე-3 ლეგ. 3 ასეულის კომუჯრედი.

ასეულის კომუჯრედში ამ უკანასკნელად ძლიერ გამოცოცხლდა მუშაობა. ყოველ კვირაში სისტემატიურად იმართება კომუჯრედის კრებები. უჯრედს აქვს თავისი ორგანო—ორკვირეული კედლის გაზეთი. უჯრედი შესაფერ ხელმძღვანელობას უწევს აგრეთვე ასეულში რემედასის და ავიოქიმის უჯრედებს. ავიოქიმის უჯრედთან შემდგარია აქტიურ წითელ არმიელთა ჯგუფი, რომლებიც ყოველ საღამოობით მართავენ ხმამაღალ კითხვას რიგრიგობით. არც ერთი წუთი არ იკარგება ტყვილაუბრალოდ. იმედია კომუჯრედი კიდევ უფრო მეტი ენერგიით გაუწევს ამ მუშაობას ხელმძღვანელობას და მეტ დაინტერესებას გამოიწვევს წითელ არმიელებში.

წ. არმ. შ. გოგელაშვილი.

### ახკომკავშირის დამხმარე ჯგუფის მუშაობა ჩვენთან.

1-ლი დივიზ. საარტილერიო ლეგიონი.

ახალგაზრდა ლ. კ. კავშირის წევრების რიცხვი წ. არმიაში საგრძნობლად გაიზარდა. ხუთი წლის განმავლობაში კომკავშირის ორგანიზაცია წ. არმიაში აქტიურ როლს ასრულებს მის მშენებლობაში. კომკავშირის ჯგუფის რიცხვობრივი ზრდასთან ერთად იზდება თვითეული წევრი თვისობრივათაც და ღირსეულათ ითვისებს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას და ხდება მისი საუკეთესო გამტარებელი. კომკავშირის ჯგუფები ლეგიონში არსებობს ბატარეის მიხედვით, სულ არის 5 ახკომკავშირის ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანებულია 100 წევრამდე. თვითეულ ჯგუფს ყავს კომკავშირის ორგანიზატორი და ლეგიონის მაშტაბით გამოყოფილია ერთი მთავარი ლეგ-ორგანიზატორი.

ჯგუფის კრება ხდება კვირაში ერთხელ—ლეგიონის კრება და თათბირი ორგანიზატორებთან კი თვეში ერთჯერ.

ყველა კომკავშირის ორგანიზატორების მთავარი ყურადღება მიქცეულია იმისაკენ, რომ კომკავშირის წევრებს შორის მოისპოს წერა-წითხვის უცოდინარობა, ჩაბმული იქნენ თვითმოქმედებით ორგანიზაციებში, სკოლის გარეშე და სასკოლო მუშაობაში.

პარტიულ-პოლიტიკურ განვითარების მხრივ მთელი კომკავშირი დაყოფილია ცოდნის და მიხედვით ორ ნაწილათ: უცოდინარი და მცირე მცოდნენი, რომლებიც გაერთიანებული არიან სკოლებში. არსებობს ნაწილში 1-ლი საფეხურის პარტსკოლა და კომკავშირის სკოლა.

პარტსკოლაში ითვლებიან ყველა პარტიის წევრები, პარტ. კანდიდატები, აქტიური კომკავშირის წევრები და კომკავშირის სკოლაში უფრო ნაკლებათ მომზადებული წევრები.

აქტიური ახკომკავშირის წევრებზე ვამაგრებთ მცირე მცოდნე კომკავშირელებს რაც კარგ შედეგებს იძლევა.

სწარმოებს დავალებების მიცემა კომკავშირის წევრებზე, რასაც სერიოზული ყურადღებით ეკიდებიან ყველა ამხანაგები. გვაქვს კავშირი სამოქალაქო კომკავშირის უჯრედებთან.

სამხკორი ტ. მამალაძე.

### დროს ტყვილა არ ვაცდენთ.

მე-3 ლეგიონის 1-ლი ათასეული.

ათასეულის ლენინის კუთხეში სისტემატიურად სწარმოებს წითელ არმიელებთან მეცადინეობა. ყოველ საღამოობით ტარდება საუბრები და ლექციები, რასაც გულმოდგინეთ უსმენენ ყველანი. ხელმძღვანელები მონდომებული არიან შეგვასწავლონ ყველაფერი, რის მიზნით ლენინის კუთხეში ჩამოყალიბებული იქნა სხვა და სხვა ბირთვები, რომლებშიდაც მასიურად ეწერებიან წითელ არმიელები და მეცადინეობენ. ერთი წუთი დრო არ იკარგება ტყვილა.

მალე ჩვენი წითელ არმიელები სამაგალითო მომზადებით აღიჭურვებიან.

სამხკორი გ. ბუაჩიძე.

### ვინ იქნება შემდეგი?

თანახმად ამხ. თომეიშვილის გამოწვევისა, ვიწერ გაზეთ „წითელ-არმიელს“ ერთი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მე-6 ლეგიონის 1-ლ ასეულიდან კობახიძე ონისიმეს და შარაბიძე ივლიანეს.

საკომენდანტო ოცეულ. ზემდეგს ვასილ ზერეკიძეს და კლუბიდან ავეტიკ მაზგანოვს.

საკავშირო ოცეულიდან—ტყემალაძე სერაფიონს.

მე-6—ასეულიდან ყანდარელ ლუარსაბს. მე-3 ასეულიდან ლილუაშვილ შალიკოს და ხონელიძე ბესარიონს.

ლეგიონის სკოლიდან—გვარამია რომანოზს, მახაიძე ზაქარიას, ცინცაძე გიორგის, ყულიჯანოვ ივლიანეს, ენაგელი გიორგის, სულთანიშვილ ვასილს, ლიპარტიაშვილ სიკოს, გოგიბერიძე ლეონიდეს და მურუსიძე ივანეს.

არჩილ გიორგობიანი.

### ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

### ჩვენი მიღწევები რემედასის მუშაობაში.

მე-2 მესანგრე ასეული.

1925 წლის იანვრიდან ჩვენი ასეულის რემედასის უჯრედში ითვლებოდა სულ 22 წევრი.

ცვალებადთა შეკრების დროს ცვალებად შემადგენლობის [95 პროც. ითვლებოდა ასეულის რემედასის წევრებად. მათი გაშვების შემდეგ ასეულის ახალწვეულებმა დაიკავეს მათი ადგილი.

ამ ჟამად მესანგრე ასეულის რემედასის უჯრედში ირიცხება 42 წევრი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, დროგამოშვებით ტარდებოდა საერთო კრებები და შუქდებოდა დივ-რემ. კომისიის მიერ გადმოგზავნილი მასალები. იმართებოდა საუბრები რემედასის მნიშვნელობაზე და სხვა. ბიურო დიდ ყურადღებას აქცევს რემედასის კომიტეტის მიერ გადმოგზავნილ ლიტერატურის გავრცელებას. მოწყობილია ასეულში რემედასის კუთხე, სადაც გამოფენილია რემედასის სხვა და სხვა ჟურნალები და ბროშურები.

რემედასის წევრები სისტემატიურად იხდიან საწევრო გადასახადს და სურვილისამებრ იღებენ ერთდროულ დახმარებას.

რემედასის ამოცანების ფართოდ გაშუქების მიზნით კედლის გაზეთში გამოყოფილია განსაკუთრებული განყოფილება, სადაც შუქდება რემედასის მიღწევები და ამოცანები. მომავლისთვის რემედასის ბიუროს განზრახული აქვს საღამოების გამართვა და ვიმედოვნებთ ბიუროს აქტიური მუშაობით საქმე კარგად დადგება.

სამხკორი სანდროშვილი.

### ჩვენი დრამწრე.

სამხედრო პოლიტსკოლა.

სკოლაში კარგა ხანია არსებობს დრამატიული წრე, რომელსაც ყავს მოწვეული საკმაოდ გამოცდილი ამხანაგი რეჟისორად. კურსანტების 45 პროც. აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წრის მუშაობაში.

დრამწრე მოწადინებულია მჭიდრო კავშირი დაიკავოს სამოქალაქო ორგანიზაციებთან. წარმოდგენების გამართვის დროს მოწვეული სტუმრები შეყავთ პირველად დასასვენებელ ოთახში, სადაც ისინი დაწვრილებით ეცნობიან სკოლის სხვა და სხვა წრეების მიერ მოხდენილად მოწყობილ კუთხეებს.

მართალია დრამწრის მუშაობას ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობება წინ, მაგრამ მათი თავიდან აცილებისათვის გადადგმულია შესაფერი ნაბიჯები და ვიმედოვნებთ გადალახული იქნებიან ახლო მომავალში. დრამწრის მუშაობა ამ ჟამად დამაკმაყოფილებელია. მომავალში ის უფრო გამოცოცხლდება.

წ. არმ. ვ. თალაკვაძე

### თვითგანვითარების საქმე ჩვენს ასეულში.

მე-2 ლეგიონის 9-ე ასეულში.

ასეულში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, თვით წითელ არმიელების მიერ. საკუთარ თაოსნობით ხშირად აწყობენ კრებებს და იმართება კამათი ამა თუ იმ საკითხების გარშემო.

ხშირად სთხოვენ უფროს ამხანაგებს, რომ დაესწრონ და უხელმძღვანელონ კამათს, რასაც სიამოვნებით ასრულებენ ისინიც.

წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ბრძოლამ ასეულში დიდი ნაყოფი გამოიღო. შევსძელით წითელ არმიელების დაინტერესება თვითგანვითარებით და ისინიც გულმოდგინეთ ეკიდებიან ამ საქმეს.

სამხკორი შ. აზიკუროვი.

## ახალი ამბები.

— **სახალხო საექიმო დახმარების გაუმჯობესების მიზნით** ტფ. აღმასკომმა შეიმუშავა მაზრაში მომუშავე ექიმებისათვის ახალი სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

— **ქალაქის ულარიბეს** მცხოვრებთათვის, ქალაქის ლომბარდი ხსნის პლეხანოვის პროსპექტზე თავის განყოფილებას, სადაც დაკლებულ ფასებში მიიღებენ ღარიბ მოქალაქეთა ნივთებს.

— **საზოგადო სამუშაოები.** შრომის სახ. კომისარიატი ახლო მომავალში განაახლებს საზოგადო სამუშაოებს.

— **წამლეულობა.** ბათომში ამ.-კავკ. საგარეო კომისარიატის მისამართით მოვიდა წამლეულობის დიდი პარტია.

— **საბეჭდი მანქანები.** ტფილისში ახლო ხანში მოელიან რამოდენიმე ასეულ საბეჭდ მანქანებს.

— **სამკურნალო მცენარეულობის შეგროვების** გაადვილების მიზნით ახლო ხანში გამოვა წიგნი, სადაც მოთავსებული იქნება ყველა სამკურნალო მცენარეთა სურათები და სია.

— **ფართლეულობის შემოტანა.** მიმდინარე წლის მეორე მეოთხედში გეგმის გარეშე ამიერ-კავკასიაში შემოიტანენ 30 რონოდა ფართალს.

— **დაფნის ფურცელი.** წარმოკავშირმა დასავლეთ საქართველოში დაამზადა დიდძალი დაფნის ფურცელი უცხო ბაზარზე გასატანად.

### პასუხი შეკითხვებზე.

**პალისხეველს.** მიმართედ კომუჯრედს.

**ცაბაძეს.** ამ წლის შემოდგომაზე წახვალთ უვადო შვებულებაში.

**მასვე.** მოკლე ვადიან შვებულება გეკუთვნით განსაკუთრებულ ოჯახურ მდგომარეობის მიხედვით და ისიც უფროსის ნებართვით.

**ცაგარეიშვილს.** უფასო საექიმო დახმარებით სარგებლობთ.

**ფაჩულიას.** ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ადრე არ გაგანთავისუფლებენ. ოჯახის დახმარებისთვის მიმართედ აღმასკომს და გლეხკომს.

**ლაგურაშვილს.** არის არმიის სამჭედლო კურსები, სადაც ნაწილებიდან იგზავნებიან წ. არმიელები.

**დეისაძეს.** წ. ა. ტყიდან მასალა ეძლევათ 25—75 პროც. დაკლებულ ფასებში, ზოგიერთ შემთხვევაში უფასოდაც. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტომბერი 1925 წ.)

**დ—ძეს.** უვადო შვებულებაში წახვალთ 1926 წ. შემოდგომაზე.

**ქუმრიშვილს.** სამხედრო უწყებიდან სესხათ ფული არ მოგეცემათ.

**დ. გ—ძეს.** მიმართედ უშალო თქვენს უფროსს.

**არეშიძეს.** თუ ნაწილში არის ახალი მაზარა გერგებათ.

**ქ. კ.** შეგიძლიათ სკოლის უფროსების თანხმობით.

**ციცქიშვილს.** ჰოსპიტალში ყოველდღიურად იგზავნება 30 ცალი გაზეთი.

**მანჯგალაძეს.** თქვენი შეკითხვის შესახებ თავის დროზე იქნება ბრძანება. ჯერ-ჯერობით არაფერი ვიცით მაგის შესახებ.

**ა. გაბუნიას.** აცნობეთ რედაქციას ფულის შეტანის ორდერის ნომერი.

**შანგუას.** მიმართედ სამნეო ნაწილის უფროსს.

**ოც. მეთაურებს.** გადასახიდ საშუალებისთვის უნდა მიმართოდ ადგილობრივ აღმასკომს.

**ომი ნიძეს.** არ გეკუთვნით.

**რაჭველს.** მიწის გაყიდვა არ შეიძლება.

**ბე—ვს.** გვარის გამოცვლა შეგიძლიათ, მიმართედ მაჩ.ს.

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. მეთაურთა სკოლის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ—პოლ. ბალავაძეს (პარტკანდიდატი) და პოლ. ალექსან. ლორთქიფანიძეს (პარტკანდიდატი).

ასეულის უჯრედი სთხოვს ყველას თუ რაიმე უარყოფითი იციან ამხანაგების შესახებ გვაცნობოთ ერთი კვირის გამავლობაში.

კომუჯრედის მდივანი ბაქრაძე.

ამავე სკოლის მე-3 უჯრედში, კომპარტიაში კანდიდატებათ მიღებას თხოულობენ შემდეგი ამხანაგები: შალვა ჯაში, იორდანე ფაცურია, კონსტ. ცინცაძე, ბიქტორ ლომია, არკადი გეგეშიძე, ქიტეს მატაკიშვილი, მიხეილ კობახიძე, მუხურაძე ალექსი და ერასტი ციბაძე.

თუ ვინმემ რაიმე უარყოფითი იცით ხსენებულ ამხანაგების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში.

უჯრედის პრეზიდიუმი

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის 1. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.